# როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი
(JILEP)

15 ოქტომბერი 2013წ.

წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დახმარებით და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ამ ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) და მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

## როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება

*მოკლე შინაარსი:*

საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი სისტემა არღვევს საქართველოს მოქალაქეების უფლებებს და ზიანს აყენებს ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას, რადგან იგი მძიმე სახდელებს აწესებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი პროცესის გარანტიების გვერდის ავლით. ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს. თეორიულად, რეფორმის სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალი გახლავთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან სისხლის სამართლებრივი ხასიათის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ამოღება და მათი გადატანა სისხლის სამართლის კოდექსის ახალ, „მისდიმინორების" თავში. მსგავსი პრაქტიკა წარმატებით განხორციელდა გარდამავალი ეტაპის სხვა ქვეყნებში და მისი გაზიარებით საქართველოც შეძლებს დასავლურ დემოკრატიებში დამკვიდრებული პრაქტიკის დაკმაყოფილებას.

### I. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა არღვევს როგორც მოქალაქეების უფლებებს, ისე საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართალს

საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ათასობით პირს ცნობს დამნაშავედ და სჯის ჯარიმით ან 90 დღემდე პატიმრობით ისე, რომ ამ ადამიანებს არ აქვთ სამართლიანი პროცესის გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა. კერძოდ, ეს ხორციელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (ასკ) გათვალისწინებული „ადმინისტრაციული დარღვევების" ჩადენაში ბრალდებითა და სახდელის დადებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი უკანასკნელი კოდექსია. მართალია, ქართული მართლმსაჯულების სისტემა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს არ მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი ხასიათის ქმედებებად, რადგან მათი ჩადენა არ იწვევს ნასამართლობას, კოდექსი მოიცავს ისეთ სამართალდარღვევებს, რომლებიც შეერთებულ შტატებში და საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში მიიჩნევა „მისდიმინორად" (სისხლის სამართლის გადაცდომად - მთარგმნელის შენიშვნა), ხოლო კონტინენტური სამართლის ბევრი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსით - „დელიქტად" (*délit*). ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან ყველაზე

ხშირად გამოყენებადი მუხლებია ხულიგნობა, კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა და მცირე ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ პირს შეიძლება მძიმე სახდელი შეეფარდოს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებულს სამართლიანი პროცესის გაცილებით უფრო ნაკლებ გარანტიებზე მიუწვდება ხელი, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულს. ასკ არ მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისგან პატიმრობის გამოყენების საფუძვლის არსებობის მტკიცებას. ის არ მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისგან, რომ სწრაფად შეატყობინონ დაკავებულს მისი უფლებები და დაპატიმრების საფუძველი. ის არ ადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნას. ის არ მოითხოვს მოსამართლისგან მტკიცების ისეთი სტანდარტის გამოყენებას, როგორიცაა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი. ბრალის დადასტურების და სახდელის შეფარდების პროცედურების შეკვეცილი და გამარტივებული ხასიათი ნაკლებად იძლევა შედეგიანი წარმომადგენლობის[2] ან შედეგიანი გასაჩივრების[3] შესაძლებლობას.

გამჭვირვალობას მოკლებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა უშუალოდ სამართალწარმოების პროცესიც. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა განხილვის სასამართლო პროცესების უმრავლესობა ზედაპირული და ფორმალურია: ძირითადად, ამ პროცესებზე მოსამართლის (რომელიც ხშირად ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეა და არ აქვს სისხლის სამართლის საქმეების წარმოების გამოცდილება) წინაშე გამოდის პოლიციის თანამშრომელი, რომელიც წარადგენს თავის მიერ შედგენილ მოკლე წერილობით ოქმს, რასაც იყენებს სახდელის სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის დასასაბუთებლად, რის შემდეგაც მოსამართლე მოკლე ხანშივე აცხადებს შეფარდებულ სახდელს.[4]რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მოსამართლეს საქმის

---

[1] იხ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/administraciuli2011.pdf, გვ. 34 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.) და http://statistic.supremecourt.ge/module/?lang=en&type=1 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.). ამ ანგარიშის შედგენის მომენტისთვის 2012 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სტატისტიკური ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არ მოიპოვებოდა.

[2]იხ. Human Rights Watch, *Administrative Error: Georgia's Flawed System of Administrative Justice*, იანვარი 2013წ. („ადმინისტრაციული შეცდომა: ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ნაკლოვანი სისტემა საქართველოში"), გვ. 16-19 და 20-23, რომელშიც მოყვანილია მაგალითები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებულ პირებს მოსამართლეებმა უარი უთხრეს თავიანთი ადვოკატის მიერ მათ წარმომადგენლობაზე შესაძლებლობაზე ან, საერთოდ, ადვოკატის მიერ წარმომადგენლობაზე.
http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0112ForUpload.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[3] იქვე, გვ. 16-19 და 24-25

[4] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სამუშაო ჯგუფმა თვითნებური დაკავების საკითხებზე 2012 წლის იანვარში გამოსცა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ „[ადმინისტრაციული] სასამართლოების გადაწყვეტილებები ხშირად მიიღებოდა ნაჩქარევად, გადაწყვეტილების ტექსტის შედგენა ხდებოდა „ამოჭრა-ჩაკერების" გზით, სასამართლოები ახდენდნენ გადაწყვეტილებების

განხილვას საქმის შესვლიდან 24 საათში ავალდებულებს,[5] საზოგადოებას, მედიას და ზოგჯერ თვით დამცველ ადვოკატსაც კი არ აქვს პროცესზე დასწრების შესაძლებლობა. ვინაიდან ადმინისტრაციული მოსამართლეები იშვიათად ითხოვენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ თავიანთი შუამდგომლობის გამამყარებელი მტკიცებულების წარდგენას, ვინაიდან დაცვის მხარეს ნაკლებად აქვს საკუთარი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა და ვინაიდან არ არსებობს პროცესის სიტყვა-სიტყვითი სტენოგრამა ან სხვაგვარი ჩანაწერი, ამიტომ არსებული დოკუმენტაცია სიცხადეს მოკლებულია და, როგორც წესი, არასაკმარისია იმისათვის, რომ საქმე მომზადდეს გასაჩივრებისთვის ან თუნდაც შესაძლებელი იყოს გამოტანილი გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული საფუძვლების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება.[6]

---

მექანიკურად დაშტამპვას, კონკრეტული საქმის გარემოებების განხილვის გარეშე." გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა საბჭო, „თვითნებური დაკავების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის ანგარიში" (*Report of the Working Group on Arbitrary Detention*), 13, A/HRC/19/57/Add.2, 27 იანვარი 2012წ., პუნქტი 66
http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session19/A-HRC-19-57-Add2_en.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.). Human Rights Watch-ის განცხადებით, „ადმინისტრაციული პროცესები ფაქტიურად წარმოადგენს გამარტივებულ სასამართლო პროცესს, რომელიც იშვიათად გრძელდება 15 წუთზე მეტ ხანს". იმ საქმეებზე, რომლებსაც აღნიშნული ორგანიზაცია აკვირდებოდა, სასამართლო არ აძლევდა დაცვის მხარეს დაცვის მოსამზადებლად საკმარის დროს და მოსამართლეებს გადაწყვეტილება გამოჰქონდათ ძირითადად მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების საფუძველზე. იგივე ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მოსამართლეები არასოდეს აკმაყოფილებდნენ დამცველი ადვოკატების შუამდგომლობას მტკიცებულების დასაშვებად ცნობაზე, გარდა ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებებისა. იხ. ზემოთ „ადმინისტრაციული შეცდომა", გვ. 19-20

[5] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 262(2)

[6] იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში: 2009 წლის მეორე ნახევარი", გვ. 114-115
http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/iicsizmorgdfkahkdqvc.pdf (ქართული ვერსია, ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.) http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/skjfrvhzrzxgyvhnjpyy.pdf (ინგლისური ვერსია, ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.). 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელიც ომბუცმენის ფუნქციას ასრულებს, ჩაატარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების კვლევა. შესწავლილ იქნა საქმეები, რომლებიც ეხებოდა წვრილმან ხულიგნობას, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ბრძანების შეუსრულებლობას და მანიფესტაციის წესების დარღვევას. სახალხო დამცველმა გამოავლინა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებები ხშირად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილებები არის შაბლონური, სადაც მხოლოდ სახელებია შეცვლილი, ხოლო აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები შედგენილია ძალზე ზოგადი და ერთმანეთის იდენტური ფრაზებით. სახალხო დამცველი ასკვნის, მტკიცებულებების ნაკლებობა და არაადეკვატური დასაბუთებულობა განპირობებული იყო კონკრეტული გარემოებების არარსებობით. კვლევაში ასევე ხაზგასმულია, რომ გადაწყვეტილებები არ არის დამყარებული საკმარის მტკიცებულებებზე, სამართალწარმოება მიმდინარეობს ძალზედ ზედაპირულად და დაცვის გარანტიების არასაკმარისია. იხ. აგრეთვე ზემოთ „ადმინისტრაციული შეცდომა", გვ. 21-22

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები საქართველოში წარმოებული საქმეების *არცთუ* მცირე ნაწილს შეადგენს. პრინციპში,საქართველოს მოსამართლეების მიერ ყოველწლიურად განხილულ საქმეებიდან საკმაოდ დიდი წილი მოდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებაზე. 2011 წელს ადმინისტრაციულმა მოსამართლეებმა 22 574 პირი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დამრღვევად, რომელთაგან 4 461 პირს პატიმრობა შეეფარდა.[7] თითქმის ყველა იმ მათგან 90 დღემდე პატიმრობა შეეფარდა [8] ისეთი სამართალდარღვევებისთვის, როგორიცაა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შენახვა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და ხულიგნობა [9] . შედარებისთვის, სისხლის სამართლის მოსამართლეებმა იმავე წელს დამნაშავედ ცნეს 18 153 პირი, რომელთაგან პატიმრობა 7 454 პირს მიესაჯა.[10]

განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ წარსულში საქართველოს მთავრობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს როგორც შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილე მოქალაქეების, აგრეთვე ცალკეული პოლიტიკური აქტივისტების თვითნებური დაპატიმრებისა და დასჯის იარაღად იყენებდა.[11] შესაძლებელია კოდექსის გამოყენება კვლავ მოხდეს ასეთი სახით.

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენების დღევანდელი პრაქტიკა არღვევს საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.** კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციით და სამართლიანი სასამართლოს უფლებით.[12] გარდა ამისა, იგი ადგენს ისეთ მტკიცების ტვირთს, რომელიც, იდენტური თუ არა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მსგავსი მაინცაა. [13] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსის გამოყენება კი ბრალდებულ პირს ტოვებს ამ კონსტიტუციური გარანტიების გარეშე.

---

[7] იხ. ზემოთ http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/administraciuli2011.pdf და http://statistic.supremecourt.ge/module/?lang=en&type=1

[8] შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #1232247 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია), 5 ოქტომბერი 2011წ. და შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #1288675 საიას, 2 ივლისი 2013წ. (მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია წერილების ასლების გაცემა)

[9] იხ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/administraciuli2011.pdf, გვ. 34-36 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[10] იხ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli2011.pdf, გვ. 6 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[11] იხ. ზემოთ „ადმინისტრაციული შეცდომა", გვ. 7-9; ადამიანის უფლებათა საბჭო, „თვითნებური დაკავების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მოხსენება", პარაგრაფები 69-77

[12] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 40(1)(2)

[13] საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ."

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი პირს ანიჭებს დაცვის უფლებას.[14] აღნიშნული მუხლის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების იმავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.[15] ადმინისტრაციული ბრალის წაყენების და ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების ზემოაღწერილი გამარტივებული პროცედურა კი ბრალდებულს ართმევს 42-ე მუხლით გარანტირებულ ამ არსებით უფლებებს.

საქართველოს ხელი აქვს მოწერილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტზე და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე. პაქტის მე-9 მუხლი და ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი კრძალავს თვითნებურ დაკავებას. პაქტის მე-14 მუხლი და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი პირს ანიჭებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ამ აქტების თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ გარანტიებს, როგორიცაა დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და საშუალებების ქონის უფლება, იურიდიულ წარმომადგენლობაზე ხელმისაწვდომობა და მოწმეთა დაკითხვის უფლება.[16] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენება არღვევს ამ ნორმებს.

ის, ვინც ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით არ ირღვევა სამართლიანი პროცესის და სამართლიანი სასამართლოს უფლებები მხოლოდ იმიტომ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის „სისხლის სამართლის დანაშაული", უნდა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ევროპულ სასამართლოს არაერთგზის განუცხადებია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის ჩადენისთვის პირს შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა, უნდა განიხილებოდეს, როგორც „სისხლის სამართლის ბრალდება" ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გაგებით, იმის მიუხედავად, რამდენად ხანმოკლე იქნება შესაძლო პატიმრობის ვადა.[17] გარდა ამისა, ევროპული სასამართლოს თქმით, ადმინისტრაციული

---

[14] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42(2)

[15] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42(6)

[16] იხ. მაგალითად ევროპული კონვენციის მუხლები 5-6 www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.); საერთაშორისო პაქტის მუხლები 9 და 14 http://treaties.un.org/doc/Publication/UNTS/Volume%20999/volume-999-I-14668-English.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.); ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლი http://www.un.org/en/documents/udhr/(ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[17] ორგანიზაცია Human Rights Watch-ის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სომხეთის, მოლდოვას, რუსეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ შეტანილ 24-ზე მეტ საქმეში დაადგინა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები ამ ქვეყნებში, სადაც ასეთი სამართალდარღვევებისთვის პირს შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა, უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულებად ევროპული კონვენციის მიზნებისთვის. მაგალითისთვის, იხილეთ 2005 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეში *ზილიბერბერგი მოლდოვას წინააღმდეგ*, განაცხადი #61821/00 (2005) (ამ საქმეში, რომელშიც ადმინისტრაციული წესით გასამართლებულ პირს დაეკისრა ჯარიმა 3 ევროს ოდენობით არასანქცირებულ პოლიტიკურ დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის, ევროპულმა სასამართლომ

სამართალდარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მისი შინაარსიდან გამომდინარეც ან ასეთად იქნეს მიჩნეული მისი შინაარსის და შესაძლო სანქციის გათვალისწინებით.[18]

გასაკვირი არაა, რომ საქართველოს მიერ საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შენარჩუნებას და გამოყენებას, რაც ეწინააღმდეგება თვით ამ ქვეყნის კონსტიტუციას და მოქმედ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს, მკაცრად აკრიტიკებს ადამიანის უფლებათა დამცველთა საზოგადოება. ეს პრაქტიკა ზიანს აყენებს საქართველოს საერთშორისო მდგომარეობასაც. მაგალითად, 2012 წლის იანვარში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს თვითნებური დაკავების საკითხებზე სამუშაო ჯგუფმა გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ადმინისტრაციული წესით პატიმრობაში მყოფი პირები „არ არიან ადეკვატურად დაცული და მათი პატიმრობა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს“[19]. თავის 2012 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსში არ მოიპოვება სამართლიანი პროცესის გარანტიების დამდგენი ნორმები და ციტატის სახით მოჰყავს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრება, რომელიც ამ პროცესს აფასებს, როგორც „გამარტივებულ დასჯას პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნის საფუძველზე.“[20]

---

განაცხადა, რომ ეს იყო სისხლის სამართლის საქმე, რადგან ჯარიმა მიზნად ისახავდა როგორც პრევენციას, ისე დასჯას, ხოლო თუ სამართალდამრღვევი არ გადაიხდიდა ჯარიმას, მაშინ მას შეიძლება შეფარდებოდა პატიმრობა 20 დღის ვადით); 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეში *გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ*, განაცხადი #26986/03 (აქაც, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე, რომელშიც სამართალდამრღვევის გაასამართლეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობისთვის, თავისი ხასიათით წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმეს, რადგან სამართალდამრღვევს რეალურად აღუკვეთეს თავისუფლება სამი დღის ვადით, ხოლო შესაძლო სანქცია ითვალისწინებდა პატიმრობას 15 დღემდე ვადით). იგივე პოზიცია დააფიქსირა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ; მაგალითისთვის იხილეთ დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეში *სერგეი ზოლოტუკინი რუსეთის წინააღმდეგ*, განაცხადი #14939/03; იხ. ზემოთ „ადმინისტრაციული შეცდომა“, გვ. 32, სქოლიო 92

[18] მაგალითისთვის იხილეთ 2005 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეში *ზილიბერბერგი მოლდოვას წინააღმდეგ*, განაცხადი #61821/00 (2005), პუნქტები 29-36 http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68119 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.) 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეში *გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ*, განაცხადი #26986/03, პუნქტები 55-60 http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-83297 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[19] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „თვითნებური დაკავების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის ანგარიში“, პუნქტი 67

[20] აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხთა ბიურო, „2012 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ“ http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm - wrapper (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

## II. შემოთავაზებული გამოსავალი: სისხლისსამართლებრივი ხასიათის სამართალდარღვევების ამოღება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან და მათი გადატანა სისხლის სამართლის კოდექსის ახალ, „მისდიმინორების“ თავში

იმ ფონზე, რომ აშკარაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ მოქმედი სისტემის წინააღმდეგობრიობა თავად საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სამართალთან, ჩნდება კითხვა: რა ცვლილებები შეიძლება განახორციელოს საქართველომ იმისათვის, რომ მისი სისტემა მოიყვანოს სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში? მიღებული გამოსავალი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ადეკვატური სამართლიანი პროცესის უფლებების იმპერატიულად უზრუნველყოფას ბრალდებულისთვის, არამედ შედარებით წვრილმან დანაშაულებზე საქმის დროულად და ხარჯეფექტურად წარმოების აუცილებლობასაც. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნას მიღებული ის უარყოფითი შედგები, რაც წვრილმან დანაშაულში მსჯავრდებული პირის მიმართ შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი ნასამართლობის დატოვებამ.

ერთი შეხედვით, საქართველოს თითქოსდა სამი ვარიანტი აქვს იმისათვის, რომ თავისი კანონმდებლობა და პრაქტიკა საკუთარ კონსტიტუციასთან და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანოს:

1. ცვლილებების შეტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლებითაც დაწესდება სამართლიანი პროცესისთვის აუცილებელი ყველა მოთხოვნა;
2. პატიმრობის, როგორც სახდელის გაუქმება, რის შედეგადაც კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის ერთადერთ სახდელად დარჩება ჯარიმა;
3. სისხლისსამართლებრივი ხასიათის ყველა სამართალდარღვევის ამოღება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან და მათი გადატანა სისხლის სამართლის კოდექსში, რა შემთხვევაშიც მათზე გავრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სამართლიანი პროცესის გარანტიები.

თუმცა, ამ ვარიანტების ანალიზით ვლინდება, რომ სინამდვილეში მხოლოდ ერთი პრაქტიკული გამოსავალი არსებობს.

1. *ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანა, რომლებითაც დაწესდება სამართლიანი პროცესისთვის აუცილებელი გარანტიები, ზედმეტად რთული და არაპრაქტიკულია*

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემას ბევრი საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია აკრიტიკებს და გამოდის წინადადებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდეს ცვლილებები, რომლებიც

დააწესებს სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო გარანტიებს. როგორც ჩანს, ამ წინადადების შეთავაზება ადვილია, მაგრამ განხორციელება - რთული. იმისათვის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართლიანი პროცესის და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდეს, მასში უნდა ჩაიდოს მთელი რიგი შესაბამისი პროცედურები. გარდა ამისა, კოდექსში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება თავის მხრივ უამრავ კითხვას წარმოშობს. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ მაგალითს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ბრალდებულს უზრუნველყოფდეს სამართალიანი პროცესის და სამართლიანი სასამართლოს უფლებებით, მასში უნდა დაემატოს ადეკვატური წარმომადგენლობის უფლება, მტკიცებულებების წარდგენის უფლება და ადეკვატური გასაჩივრების უფლება. აქვე აუცილებელია დაემატოს მოთხოვნა, რომ ბრალდებულს *წინასწარ* ეცნობოს მტკიცებულებების შესახებ, რომელთა გამოყენებასაც სახელმწიფო აპირებს ბრალდების მხარდასაჭერად. მაგრამ ეს უფლებები პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ მოკლე ვადებში, ამიტომ საჭირო გახდება ამ ვადების გახანგრძლივება ისე, რომ ისინი დაემსგავსოს ამჟამად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებს. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისთვის დამახასიათებელი გამარტივებული წარმოების ძირეულად შეცვლას, რის შედეგადაც იგი ძალიან დაემსგავსება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას. ამგვარად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პროცედურა დაკარგავს ისეთ უპირატესობებს, როგორიცაა პროცესის სიმარტივე და უპირატესობა. შეიძლება ითქვას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის ნებისმიერი მცდელობა, რომელიც მიმართული იქნება საჭირო გარანტიების და უფლებების უზრუნველსაყოფად, პრაქტიკულად გადაიქცევა იმ პროცედურების ხელახლა გადაწერის მცდელობად, რომლებიც უკვე გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოხდება სამართლიანი პროცესის მოთხოვნების დამატება, მაინც ხშირი იქნება შემთხვევები, როდესაც *ადმინისტრაციულ მოსამართლეებს* მოუწევთ ფაქტების დადგენის და სახდელის შეფარდების ისეთი პროცედურების შესრულება, რომლებიც თავიანთი ხასიათით მკაფიოდ სისხლის სამართლებრივია. მაგრამ ადმინისტრაციულ მოსამართლეებს არ აქვთ გავლილი შესაბამისი მომზადება. მათ არ აქვთ იმის გამოცდილება, რომ ბრალდების მიერ დაყენებული არგუმენტები სისხლის სამართალში მოქმედი სტანდარტებით შეაფასონ. გარდა ამისა, ვინაიდან ადმინისტრაციული მოსამართლეები სისხლის სამართლის მართლსაჯულების სფეროს არ განეკუთვნებიან, ისინი ვერ შეძლებენ სახდელების იმგვარად შეფარდებას, რომ ეს თავსებადი იყოს სისხლის სამართლის მოსამართლეების მიერ სასჯელების შეფარდების პრაქტიკასთან, რაც აშკარა უთანაბრობას გამოიწვევს.

2. *პატიმრობის, როგორც სახდელის გაუქმება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ ეს არ გადაჭრის სამართლიანი პროცესის გარანტიების არარსებობის პრობლემას ისეთი სამართალდარღვევების შემთხვევაში, რომლებიც თავიანთი ხასიათით სისხლისსამართლებრივად რჩება*

უფრო პირდაპირ და თითქოსდა ეფექტურ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს პატიმრობის, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სახდელის გაუქმება.[21] ცხადია, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. მაგრამ ამ ნაბიჯით საქართველო მაინც ვერ დააკმაყოფილებს თავისივე კანონმდებლობის მოთხოვნებს და საერთაშორისო ვალდებულებებს, რადგან კოდექსით გათვალისწინებული ბევრი სამართალდარღვევა მაინც სისხლის-სამართლებრივი ხასიათისა დარჩება, თუნდაც მათი ჩადინისთვის სახდელად პატიმრობა არ იყოს დაწესებული.[22]

მაგალითად, შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები კვლავ სისხლისსამართლებრივი ხასიათის დარჩება მაშინაც კი, თუ გაუქმდება პატიმრობა, როგორც ადმინისტრაციული სახდელი: ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე (მუხლი 45); მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება (მუხლი 100$^{2}$); საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა (მუხლი 123); წვრილმანი ხულიგნობა (მუხლი 166); სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა (მუხლი 173).

3. *ერთადერთი გონივრული გამოსავალია ყველა იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გადატანა ასკ-დან სისხლის სამართლის კოდექსში, რომლებიც თავიანთი ხასიათით სისხლისსამართლებრივია*

სისხლისსამართლებრივი ხასიათის ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გადატანით სისხლის სამართლის კოდექსში მიღწეული იქნება ის უპირატესობა, რომ ამ საქმებზე გავრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიანი პროცესის და სამართლიანი

---

[21] ეს ვარიანტი აირჩია სომხეთმა 2005 წელს, როდესაც მას მოუხდა თითქმის იდენტურ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანა.

[22] როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, მაშინაც კი, როდესაც პირს არ ემუქრება სახდელის სახით პატიმრობის შეფარდება, მას აქვს უფლება სისხლის სამართლის წესით ბრალდებულისთვის დაწესებულ ყველა საპროცესო გარანტიაზე, თუ სამართალდარღვევა თავისი არსით სისხლისსამართლებრივია ან ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სამართალდარღვევის არსისა და მისი ჩადენისთვის გათვალისწინებული სახდელების ერთობლივი შეფასებიდან გამომდინარე. მაგალითისთვის, იხ. ზემოთ *ზილიბერბერგი მოლდოვას წინააღმდეგ*.

სასამართლოს გარანტიებს და აკმაყოფილებენ კონსტიტუციურ და საერთაშორისო-სამართლებრივ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში აღარ გახდება საჭირო პროცედურების მთელი წყების ხელახლა გამოგონება ან არსებული პროცედურების ძალით მორგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე. ასევე, აღარ გახდება საჭირო ექსპერიმენტის ჩატარება ისეთ პროცედურულ მექანიზმებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ჩვეულებრივი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად. გარდა ამისა, აღნიშნულ საქმეების განხილვა და გადაწყვეტა დაეკისრებათ არა ადმინისტრაციულ მოსამართლეებს, არამედ სისხლის სამართლის მოსამართლეებს, რომელთაც აქვთ სამართლიანი პროცესის ნორმების გამოყენების ცოდნაც და გამოცდილებაც.

შესაძლო ვარიანტებიდან არჩევანის გაკეთებისას საქართველომ განსაკუთრებით მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ადმინისტრაციული სამართლადარღვევების გადატანა სისხლის სამართლის კოდექსში წარმატებით განხორციელდა სხვა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის, ესტონეთში, ბულგარეთში, სლოვენიაში, სერბეთსა და ხორვატიაში. ამ ქვეყნებმა ფაქტობრივად გადაიღეს შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში დამკვიდრებული მიდგომა.

მაგალითად, აშშ-ში, საქართველოს ასკ-ით გათვალისწინებული საკმაოდ ბევრი სამართალდარღვევა შტატების სისხლის სამართლის კოდექსებით რეგულირებულ სფეროს განეკუთვნება. მაგალითისთვის, ზოგიერთი ქმედება, რომელიც ქართული კოდექსით ადმინისტრაციულ სამართლდარღვევად მიიჩნევა, კალიფორნიის შტატში ჩაითვლებოდა „მისდიმინორად", კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარის - „დანაშაულები საზოგადოებრივი სიმშვიდის წინააღმდეგ" - მიხედვით ან მე-14 კარის - „ქონების ბოროტად დაზიანება" - მიხედვით.[23] მსგავსად ამისა, ის, რაც ქართული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, ნიუ იორკის შტატში მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად შტატის სისხლის სამართლის კოდექსით. ამ სამართალდარღვევების ნაწილი ითვლება „მისდიმინორად", ნაწილი კი „დარღვევად", რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი „დარღვევის" ჩადენის და მსჯავრდების შემთხვევაში პირს ნასამართლობა არ წარმოექმნება.[24] როგორც კალიფორნიის, ისე ნიუ იორკის შტატში, მიუხედავად იმისა, ქმედება მიიჩნევა მისდიმინორად თუ დარღვევად, ბრალდებულს გარანტირებული აქვს პრაქტიკულად ყველა ის უფლება, რაც ენიჭება „ფელონიის" (საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულის ეკვივალენტი) ჩადენაში ბრალდებულ პირს.

---

[23] იხ. http://www.leginfo.ca.gov/.html/pen_table_of_contents.html (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[24] მაგალითად, ნიუ იორკის შტატში „დარღვევად" ითვლება შემდეგი სამართალდარღვევები: სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 221.05 (მარიხუანას უკანონო ფლობა), მუხლი 240.20 (უწესო ქცევა), მუხლი 240.26 (მეორე ხარისხის შეწუხება/გადაკიდება), მუხლი 240.35 (უსაქმოდ ხეტიალი), მუხლი 240.40 (საზოგადოებაში გამოსვლა ნარკოტიკის ან წამლის ზემოქმედების ქვეშ, გარდა ალკოჰოლისა), მუხლი 265.37 (ზოგიერთი ტიპის საბრძოლო მასალის ჩატვირთის მოწყობილობის უკანონო ფლობა) http://ypdcrime.com/penal.law/violations.htm (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივი დემოკრატიის მქონე არც ერთ ქვეყანას არ აქვს ერთი ცალკე ნორმატიული აქტი, რომელშიც ყველა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იქნებოდა თავმოყრილი. სანაცვლოდ, ამ სფეროში მათ შერეული ტიპის კანონმდებლობა აქვთ. ევროპის ყველა სახელმწიფოში ძირითადი ადმინისტრაციული სახდელია ჯარიმა. მხოლოდ ავსტრიაში და შვეიცარიაში არის დასაშვები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ხანმოკლე პატიმრობის შეფარდება. სახდელების შეზღუდულობის მიუხედავად, დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის საერთო დამახასიათებელი ის არის, რომ მათი ადმინისტრაციული წარმოება სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებულ პირს უზრუნველყოფს სამართლიანი პროცესის და სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებებით, როგორიცაა უფლება, ეცნობოს ბრალი, დამცველის უფლება, მტკიცებულებათა შეკრების და წარდგენის უფლება, ბრალდებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოხატვის უფლება, ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და შეფარდებული სახდელის შემცირების მოთხოვნის უფლება.[25]

თუმცა, უფრო სასარგებლო შეიძლება იყოს ისეთი ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვა, რომლებმაც, საქართველოს მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარეგულირებელი სისტემა მემკვიდრეობით ერგოთ სოციალისტური სისტემიდან. აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნაწილად აქცია. ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება ესტონეთი, ბულგარეთი, სლოვენია, სერბეთი და ხორვატია. აქედან ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბულგარეთში და ბალკანეთის ქვეყნებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გადატანა რამდენიმე ათეული წლის წინ განხორციელდა,[26] სხვა ქვეყნებში კი, მაგალითად, ესტონეთში, შედარებით უფრო ცოტა ხნის წინ.[27] ზოგ ქვეყანაში, რომლებსაც „ახალგაზრდა დემოკრატიებს" უწოდებენ ხოლმე (ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი), ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავ განცალკევებული რჩება სისხლის სამართლის კანონმდებლობისგან. ამ ქვეყნებიდან მხოლოდ ლიტვა და ლატვია ინარჩუნებენ თავიანთ საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებს.[28]

სომხეთმა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო თითქმის საქართველოს იდენტური ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2005 წელს კოდექსიდან საერთოდ ამოიღო როგორც ადმინისტრაციული პატიმრობა, ისე ხულიგნობის მუხლი. ეს

---

[25] იხ. „კანონი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ და დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილება", სამართლებრივი და პოლიტიკური რეფორმების ცენტრი, ალექსანდრე ბანჩუკი და გრაჰამ ტეილორი (14 ნოემბერი 2012წ.) http://www.en.pravo.org.ua/index.php/149-criminal-justice/519-law-on-administrative-offenses-the-experience-ofwestern-and-eastern-europe

[26] იქვე

[27] იქვე http://www.iipa.com/rbc/2003/2003SPEC301ESTONIA.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[28] იქვე

განპირობებული იყო ევროპის საბჭოს მოთხოვნით, რომელიც სომხეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსს უწოდებდა „კომუნისტური მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთ ჭეშმარიტ გადმონაშთს“ და მას აფასებდა, როგორც „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აშკარა დარღვევას“.[29]

მაგრამ საქართველოსთვის ყველაზე უფრო სასარგებლო ესტონეთის მაგალითი შეიძლება იყოს. 2002 წელს ესტონეთმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლითაც გაუქმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ძველი, საბჭოური სისტემა. ესტონეთის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ორი კატეგორიის სამართალდარღვევას ითვალისწინებს: სისხლის სამართლის დანაშაულს და მისდიმინორს.[30] მისდიმინორი განისაზღვრება, როგორც „ამ კოდექსით ან სხვა კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომლისთვისაც ძირითადი სასჯელის სახით დაწესებულია ჯარიმა ან პატიმრობა.“[31] მისდიმინორის ჩადენისთვის პირს პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს არაუმეტეს 30 დღის ვადით, თუმცა პატიმრობის ნაცვლად შეიძლება დაეკისროს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.[32] დასაშვებია დამატებითი სასჯელების შეფარდებაც, როგორიცაა ზოგიერთი თანამდებობის დაკავების აკრძალვა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა და იარაღის ან საბრძოლო მასალის ტარების უფლების ჩამორთმევა.[33]

თუ დამრღვევი არ გადაიხდის შეფარდებულ ჯარიმას, მას შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.[34] ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულს, მიუხედავად იმისა, მას ბრალი ედება დანაშაულის თუ მისდიმინორის ჩადენაში, ეხება უდანაშაულობის პრეზუმფცია, აქვს პირადი თავისუფლების უფლება და იგივე საპროცესო უფლებები, რაც სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს.[35] როგორც სისხლის სამართლის, ისე მისდიმინორის საქმეებში,

---

[29] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, „სომხეთის მიერ აღებული ვალდებულებების და დაპირებების შესრულება“ (20 დეკემბერი 2006წ.), პუნქტები 136-137 http://assembly.coe.int/ASP/Doc/XrefViewHTML.asp?FileID=11396&Language=EN (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[30] ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსი (2005წ.), მუხლი 3(2) http://legislationline.org/download/action/download/id/4707/file/Estonia_Penal%20Code_am2013_en.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[31] იქვე, მუხლი 3(4)

[32] იქვე, მუხლები 48 და 69

[33] იქვე, მუხლები 49-51

[34] იქვე, მუხლები 70-72

[35] ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 7-9 http://legislationline.org/download/action/download/id/4707/file/Estonia_Penal%20Code_am2013_en.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

ბრალდებულს უფლება აქვს ეცნობოს მისთვის წარდგენილი ბრალი, ისარგებლოს დამცველის დახმარებით და წარადგინოს მტკიცებულებები.[36]

**ის ნაკლოვანება, რომელიც უკავშირდება საქართველოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სისხლის სამართლის კოდექსში გადატანასთან - ანუ ნასამართლობის წარმოქმნა ამ სამართალდარღვევის ჩადენაში მსჯავრდების გამო - შეიძლება გამოსწორდეს იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსით დაწესდეს სამართალდარღვევათა ახალი კატეგორია, რომელში მსჯავრდებაც არ გამოიწვევს ნასამართლობას.** როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, აშშ-ს ბევრ შტატში სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მსგავსი კატეგორიის სამართალდარღვევებს. ამ ტიპის სამართალდარღვევების ჩადენაში ბრალდებულ პირს ენიჭება კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი პროცესის უფლებები, მაგრამ მსჯავრდების შემთხვევაში მას არ წარმოექმნება ნასამართლობა. მაგალითად, ნიუ იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ე.წ. „დარღვევებს": ეს ისეთი სამართალდარღვევებია, რომლებიც არ ითვლება „დანაშაულად" და ამიტომ ბრალის დამტკიცება არ იწვევს ნასამართლობას. [37] დარღვევის ჩადენის გამო დაკისრებული სასჯელის აღსრულების შემდეგ პირადი საქმე ავტომატურად „ილუქება", რის შედეგადაც ყველა საჯარო არქივიდან წაიშლება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პირს ჰქონდა წარგენილი ბრალი და იგი იქნა მსჯავრდებული.[38]მაგალითად, ნიუ იორკის შტატში დარღვევად ითვლება უწესო ქცევა, შეწუხება, საზოგადოებაში გამოსვლა ნარკოტიკის ან წამლის ზემოქმედების ქვეშ, გარდა ალკოჰოლისა, სხვისი საკუთრებაში უკანონო შეღწევა და მარიხუანას უკანონო ფლობა. [39] მსგავსი პრაქტიკა აშშ-ს მრავალ შტატში არსებობს. მაგალითად, მინესოტას შტატში არსებობს კატეგორია სახელწოდებით „წვრილმანი მისდიმინორი" (petty misdemeanor) - ეს ის სამართალდარღვევებია, რომლებიც არ წარმოადგენს დანაშაულს და რომელთათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არის ჯარიმა 300 აშშ დოლარის ოდენობით. [40] ოჰაიოს შტატშსაც აქვს წვრილმანი მისდიმინორის (minor misdemeanor) ტიპის სამართალდამრღვევები, რომლებიც არ ითვლება დანაშაულად და რომელთა შეტყობინება სავალდებულო არ არის, როდესაც ხდება ინფორმაციის მოთხოვნა პირის ნასამართლობასთან დაკავშირებით. [41] მსგავსად ამისა, კალიფორნიის შტატში არსებობს დარღვევის ცნება (infraction), რომელიც არ არის სისხლის

---

[36] იქვე, მუხლები 34 და 43

[37] „დარღვევების" ტიპის სამართალდარღვევები ნიუ იორკის შტატში http://www.new-york-arraignments.com/violation.htm (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[38] იხ. http://www2.nycbar.org/pdf/report/Labor_reentry_pamphlet_employees09.pdf გვ. 11 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[39] „დარღვევების" ტიპის სამართალდარღვევები ნიუ იორკის შტატში, იხ. ზემოთ.

[40] https://www.revisor.mn.gov/statutes/?id=609.02 (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

[41] იხ. http://hr.4act.com/documents/State_Laws_and_Their_Impact_on_Use_of_Criminal_Records_for_Employ.pdf (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

სამართლის დანაშაული და მისი ჩადენის შესახებ ინფორმაცია არ აისახება პირის სისხლისსამართლებრივ წარსულში.[42]

## III. სამომავლო ნაბიჯები

სისხლისსამართლებრივი ხასიათის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გადატანა სისხლის სამართლის კოდექსში ორი კონკრეტული ნაბიჯით შეიძლება განხორციელდეს:

*პირველი ნაბიჯი:* ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომელთა სანქციის სახით სახელმწიფოს სურს პატიმრობის შენარჩუნება *ან* რომლებიც, დადგენილი სანქციის მიუხედავად, თავისი ხასიათით სისხლისსამართლებრივია, შეიძლება გადატანილ იქნას სისხლის სამართლის ახალ თავში, რომელსაც შეიძლება დაერქვას „მისდიმინორები" (ანუ დარღვევები). კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ისე სისხლის სამართლის კოდექსებით, მაგრამ არსებითად ერთი და იგივე ქმედებებია, შეიძლება გაერთიანდეს სისხლის სამართლის კოდექსის ახალ თავში, რომლებიც გააერთიანებს ნაკლებ მძიმე დანაშაულების ახალ კატეგორიას - მისდიმინორებს.

სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე თავით გათვალისწინებული შემადგენლობების ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ სამართალწარმოება განხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურების (მათ შორის, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული ნორმების) დაცვით. აქედან გამომდინარე ეს პირები ისარგებლებენ იმ უფლებებით, რომლებიც მათ ენიჭებათ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო კონვენციებით, მაგრამ არ დაექვემდებარებიან სტიგმატიზაციას და არ წარმოექმნებათ ნასამართლობა მაშინაც კი, თუ მათ მსჯავრი დაედებათ .

ამ გადასვლის შედარებითი სიმარტივე წარმოჩენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია იმ 22 ადმინისტრაციული სამართლადარღვევის მოკლე რეზიუმე, რომელთა ჩადენისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ამჟამად ითვალისწინებს პატიმრობას, როგორც სახდელს. მეორე სვეტში მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, ასეთი არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ასკ-ით გათვალისწინებული ქმედებების მსგავსისა. . მესამე სვეტში კი შემოთავაზებულია შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რეფორმირების ვარიანტი და რეკომენდებულია სასჯელის სახით დასაკისრებელი ღონისძიება.

*მეორე ნაბიჯი:* იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, რომლებიც სისხლისსამართლებრივია *მხოლოდ* მათი ჩადენისთვის დაწესებული სახდელის სიმძიმიდან

[42] http://www.conflictatlaw.com/content/infraction-misdemeanor-or-felony (ბოლო წვდომა: 11 ოქტომბერი 2013წ.)

გამომდინარე, შეიძლება გაუქმდეს ან შემსუბუქდეს ისე, რომ სამართალდარღვევა გახდეს არასისხლისსამართლებრივი ხასიათის. ამ შემთხვევაში, ასეთი სამართალდარღვევები კვლავ შეიძლება დარჩეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ასეთი სამართალდაღვევაა, მაგალითად, გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე (მუხლი $153^{3}$) და სხვა მსგავსი სამართალდარღვევები. იმისათვის, რომ განისაზღვროს, რომელი სამართალდარღვევა უნდა მოხვდეს ამ კატეგორიაში, საჭიროა გულდასმით განიხილოს როგორც სამართალდარღვევის ხასიათი, ისე მისი ჩადენისთვის დაწესებული სანქციის სიმძიმე, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

## შესაბამისი სამართალდარღვევების რეზიუმე და შემოთავაზებული ცვლილებები

